სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N 111

აუდიტორული მომსახურება CPV 79212000

ქ .თბილისი " 04 " ოქტომბერი 2019 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა" (ს/კ 202887778)** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **თეონა ყაჭეიშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „რასელ ბედფორდ ეიეისი" (ს/კ 205236840)** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზვიად ახვლედიანის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება'' - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3 „მიმწოდებელი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4 „მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აუდიტორული მომსახურების (კოდი: CPV - 79212000) შესყიდვა.

2.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს N198 საჯარო სკოლის შენობაში განთავსებული 343,90 კვ.მ. ფართის საგაზრო-საიჯარო ღირებულების დადგენა. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 3. ხელშეკრულების პირობები და ღირებულება

3.1 ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან მომდევნო **3 (სამი) სამუშაო დღის** ვადაში.

3.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს **250** (ორასორმოცდაათი) **ლარს** (დღგ-ს ჩათვლით)

3.3 ამ ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში გასაწევი მომსახურების დასრულების დრო აღინიშნება მხარეთა შორის გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტში.

3.4 ამ ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდვლისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას ხელი შეუწყოს და საჭიროებისას სათანადო დახმარება აღმოუჩინოს მიმწოდებლის წარმომადგენლებს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში;

ბ) მიმწოდებლის წარმომადგენლებს დროულად და სრული მოცულობით მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად შესრულებაში;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯეროვნად შესრულება;

ბ) განახორციელოს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის, უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.2 შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს როგორც სამუშაოს შესრულების დროს, ასევე, ამ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს, რამდენად ხარისხიანად განახორციელა სამუშაოს შესრულება მიმწოდებელმა.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით (რეკვიზიტების შესაბამისად).

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისიწინებული მომსახურებისთვის მიმწოდებელს აუნაზღაუროს მომსახურების საფასური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ყოველ ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოსა და გაწეული მომსახურებისთვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 7. „ფორს-მაჟორი“ და ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

7.4 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დასაშვებია მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი შეთანხმებით.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ რომელიმე მხარე უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს წინასწარ.

11.2 მხარეებს მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ განხორციელებული მომსახურება, მიუხედავად იმისა, სრულად შესრულდა თუ ნაწილობრივ, დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ,,ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა“ ს/კ: 202887778 მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას N20 ტელეფონის ნომერი: 577473440 ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE91TB1100000333609106	შპს „რასელ ბედფორდ ეიეისი“ მის: ქ. თბილისი, გ. ჩიტაიას 7 საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი, კოდი - BAGAGE22 ა/ა GE90BG0000000246605200 ს/კ: 205236840 ტელ:
დირექტორი თეონა ყაჭეიშვილი	დირექტორი ზვიად ახვლედიანი

Zviad Akhvlediani

Digitally signed by Zviad Akhvlediani
Date: 2019.10.04 12:03:13 +04'00'